საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT AND NATURAL RESOURCES PROTECTION OF GEORGIA

KA060106509531215

საქართველო, 0114 თბილისი, გ.გულუას ქ. N6; ტელ:2727200, 2727220, ფაქსი:2727237; www.moe.gov.ge
6 G. Gulua Str. 0114, Tbilisi, Georgia, Tel:(+995 32) 2727200, 2727220, Fax:2727237; www.moe.gov.ge

 # 3288

15 / მაისი / 2015 წ.

GRASS REFORMANDA
აიპ „საქართველოს რეფორმების ასოციაცია"
წერილის რეგისტრაციის № 125
თარიღი: 20 05 2015 წ.

საქართველოს რეფორმების ასოციაციის ვიცე დირექტორს ბატონ პაატა გაფრინდაშვილს

ბატონო პაატა,

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში მიმდინარე წლის 1 მაისს შემოსული თქვენი №169 წერილის პასუხად გაცნობებთ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ მოწოდებულ ინფორმაციას და განვმარტავთ, რომ საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით განსაზღვრული დანართის (შემოსულობების საქართველოს სახელმწიფო, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკურ და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებს შორის განაწილება პროცენტული მაჩვენებლების მიხედვით) თანახმად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ჯარიმებიდან შემოსულობები მიემართება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში. რაც შეეხება აღნიშნული ჯარიმების ჩარიცხვის პრეცენდეტს, ხსენებული საკითხი სცილდება დეპარტამენტის კომპეტენციას და შესაბამისად დეპარტამენტს ინფორმაცია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით არ გააჩნია.

რაც შეეხება იმ საკითხს, არსებობს თუ არა სამართლებრივი რეგულაციები, რომლის თანახმად ზემოაღნიშნული დანაშაულის ჩამდენი ფიზიკური და იურიდიული პირის მიერ გადახდილი ჯარიმა მოხმარდეს იმ შედეგების აღმოფხვრას, რაც დადგა გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სარგებლობის წესის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულის შედეგად, გაცნობებთ, რომ მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, აღნიშნული საკითხი არ არის დარეგულირებული.

პატივისცემით,

საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსის (საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი) მოვალეობის შემსრულებელი

ეკატერინე ბენდელიანი